



ადმინისტრაციული სამსახურის

2020 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში

12/20/2020

სამსახურის უფროსი გიორგი ინჭვირველი



2020 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ეპიდემიის გამო, ვერ მოხერხდა, როგორც მერიაში ასევე ადმინისტრაციულ სამსახურში დასახული ამოცანებისა და ვალდებულებების სრულყოფილად განხორციელება, ჩვენთვის ჩვეული შემეცნებითი და საქველმოქმედო, მასიური ღონისძიებების მოწყობა-ჩატარება, მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია ოზურგეთის ოფიციალური დელეგაციის სამსახურის ვიზიტი უკრაინაში, დამძობილებულ ქალაქ გენიჩესკში.

ახალი კორონავირუსის (Covid19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით მუნიციპალიტეტის მერია საქმიანობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადავიდა. მათ შორის, ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომლების 70-80 % დისტანციურად აგრძელებდნენ საქმიანობას.

ადმინისტრაციული სამსახურის უშუალო ორგანიზებით ვირუსის თავიდან აცილების პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, მერის ბრძანებით, შეიქმნა ადგილობრივი შტაბი 9 კაცისა და 2 მობილური ჯგუფი 13 კაცის შემადგენლობით. ამასთან, ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, შეიქმნა ანალოგიური შტაბები.

ადმინისტრაციული შენობის შემოსასვლელში, ამოქმედდა „თერმოსკრინინგი“, ფუნქციონირება დაიწყო რეგიონის ცხელმა ხაზმა „144“, რომელსაც ყოველდღიურად ემსახურება 4 საჯარო მოხელე და რომლის გამართული, ოპერატიული მუშაობის უზრუნველყოფაზე ყოველდღიური კონტროლი გვაქვს დაწესებული.

ამჟამად, ადმინისტრაციული სამსახურს ექვემდებარება 4 განყოფილება, რომელშიც 16 საჯარო მოხელეა გაერთიანებული. ახალი წლიდან გვემატება კიდევ ერთი სტრუქტურული ერთეული - „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურების განყოფილება“ 7 მოხელის შემადგენლობით.

საქმისწარმოების განყოფილება

საქმისწარმოების განყოფილების ყოველდღიური საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ შემოსული და გასული დოკუმენტაციის ადმინისტრირებით, იგი ყოველდღიურად ემსახურება საზოგადოების ფართო სპექტრს და ორიენტირებულია მათი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. მათ მომსახურების ხარისხზე დამოკიდებულია საჯარო დაწესებულების მუშაობის წარმატებულობა და ეფექტიანობა. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მოქალაქეები მომსახურების მაღალ სტანდარტებზეა ორიენტირებული და სულ უფრო მეტად მომთხოვნი ხდება სერვისისებისადმი, ამდენად, მოქალაქეთა მომსახურება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასა და მომსახურების მაღალი სტანდარტების გამოყენებას მოითხოვს. საქმისწარმოების განყოფილების საქმიანობის არსი მდგომარეობს სწორედაც მოქალაქეთა ეფექტურ მომსახურებაში.

COVID 19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით შეზღუდულ იქნა მერიაში თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადება, რომელთა უმრავლესობა დროებით გადაყვანილ იქნა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე. საგანგებო ვითარების მიუხედავად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის გადაუდებელ საჭიროებათა მოგვარება, მოქალაქე თამილება, საკითხების დადებითად გადაწყვეტა, მერიაში ყოველდღიურად ხორციელდება. ამ თვალსაზრისით გამოირჩევიან მერიის საქმის წარმოების განყოფილების თანამშრომლები, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში, მაღალი რისკის ფასად საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით ემსახურებიან ოზურგეთის მოსახლეობას.

„მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ზოგიერთი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 11 ივნისის N1334 განკარგულების შესაბამისად, სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ (ს/ნ 206074193) და ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ (ს/ნ 405026877) (შემდგომში-სააგენტო) შორის 2019 წლის 16 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, პროექტი „საქართველოს მუნიციპალიტეტებში ერთიანი ელექტრონული სერვისები“ -ის ფარგლებში, ოზურგეთის მერიაში დაინერგა ახალი, დოკუმენტბრუნვის სისტემა, რომლის მიზანია საქმისწარმოების ეფექტურ-ელექტრონულ მართვასა და საჭირო დოკუმენტებსა და დავალებებზე სწრაფი წვდომის უზრუნველყოფა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში, 2020 წლის 1 იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით, რეგისტრაციაში გატარდა:

1. სახელმწიფო კანცელარიიდან, საქართველოს პარლამენტიდან, სამინისტროებიდან, დეპარტამენტებიდან და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და უწყებიდან შემოსული 11321 კორესპონდენცია;
2. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია 2550 მოქალაქის განცხადება;
3. მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა და გაიგზავნა 9867 წერილი.
4. მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ შეიქმნა შიდა მოძრაობის 12475 წერილი.
5. მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა 5895 სამართლებრივი აქტი.
6. გზავნილებისათვის შესრულდა 695 რეესტრი.

ახალი ელექტრონული სისტემა

2020 წელს მუნიციპალიტეტში დაინერგა ახალი ელექტრონული მმართველობის სერვისი.

საქმეთა წარმოების ახალი სისტემით ელექტრონული სერვისებით სარგებლობის პირობებში გამარტივდა განცხადების წარდგენის პროცესი, სწრაფი და კომფორტული გახდა კონსულტაციის მიღება, დაიზოგა მოქალაქის ფინანსური და დროითი რესურსი, მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცათ იდეებით ჩაერთონ საკუთარი მუნიციპალიტეტის განვითარებაში, ყველა მნიშვნელოვან პროექტზე ჰქონდეთ მონიტორინგის განხორციელების საშუალება.

სისტემაში მოიცავს:

- ✓ ელექტრონული განცხადებების ერთიანი სისტემა - ms.gov.ge;
- ✓ შენი იდეა ქალაქის მერს - idea.municipal.gov.ge;
- ✓ მუნიციპალური პროექტების მონიტორინგი - build.municipal.gov.ge;
- ✓ მოქალაქეთა დახმარება.

პროექტი „საქართველოს მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება“ ხორციელდება. (ა).ი.პ. მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ.

ასევე შეიქმნა მუნიციპალიტეტის ახალი ვებ-გვერდი ozurgeti.mun.gov.ge, რომელიც არის ბევრად უფრო მობილური, ინტერაქციული და შშმ პირებზე ადაპტირებული, სადაც მოქალაქეებს საჯარო სერვისების მიღების შესაძლებლობა კიდევ უფრო გაუმარტივდათ.

სტატისტიკისა და ადგილობრივი არქივის განყოფილება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სტატისტიკისა და ადგილობრივი არქივის განყოფილება წინასწარ მომზადებული გეგმის შესაბამისად და გრაფიკის მიხედვით ახდენს მერიის სტრუქტურული ერთეულებისგან საარქივო დოკუმენტაციის მიღება-დაარქივებას.

განყოფილებაში მიმდინარეობს საცავში არსებული სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის დახარისხება, დალაგება საარქივო მასალების გადაწყობა ახალ

ბაინდერებში და დოკუმენტების შერჩევა მუდმივი, ხანგრძლივი და დროებითი შენახვისათვის.

არქივის განყოფილებაში ყოველდღიურად შემოდის განაცხადი სხვადასხვა საარქივო დოკუმენტაციის მოძიებაზე, მოთხოვნა ტარდება სპეციალურ წიგნში ასევე ტარდება გაცემული და დროებით სარგებლობაში გატანილი მასალები და დასტურდება ხელმოწერით.

მიმდინარე წელს განყოფილებაში მოიძებნა და საფუძვლიანად დამუშავდა სხვადასხვა სახის 100-მდე ინფორმაცია.

1 აპრილიდან მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა საგანგებო სიტუაციების შტაბი, რომლის მუშაობის მიმართულება იყო მოქალაქეთა მიერ ქველმოქმედების მიზნითგაკეთებული შემოწირულობების მიღება, აღრიცხვა, დაფასოება და ინდივიდუალური სასურსათო კალათების მომზადება. ასევე პროდუქტების ადგილზე მიტანა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი, შეჭირვებული მოსახლეობისა და შშმ პირებისთვის. დისტანციური სამუშაო რეჟიმის მიუხედავად, აპრილიდან, მაისის თვის ჩათვლით განყოფილების თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ ყველა საქველმოქმედო აქტივობაში. 27 მაისიდან მერიის შენობაში ამოქმედდა თერმოსკრინინგი გრაფიკის მიხედვით, რომელშიც ჩართული იყო განყოფილების ყველა თანამშრომელი, პარალელურად, განყოფილებაში მიმდინარეობდა სამუშაო პროცესი: ივლისის თვეში მოიძებნა და დამუშავდა 5 საქმე, აგვისტოში - 4, სექტემბერში - 3, ოქტომბერში - 1, ნოემბერში - 1.

სტატისტიკისა და ადგილობრივი არქივის განყოფილება შეფერხების გარეშე ჩართულია ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გამოცემულ ყველა რეგულაციებში, რომელიც მიღებული იქნა covid-19 -ით გამოწვეული პანდემიის პირობებში სამუშაო პროცესის მართვასთან დაკავშირებით, კერძოდ თერმოსკრინინგზე და ცხელ ხაზზე.

ზემოთხსენებული განყოფილების მეშვეობით კანონის სრული დაცვით ხდება მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემის ორგანიზება, პასუხის გაცემა ყველა იმ საჯარო ინფორმაციის მოძიებასა და მომზადებაზე, რომელიც შემოდის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში.

სულ საანგარიშო პერიოდში გაიცა 75 საჯარო ინფორმაცია მოთხოვნებისა და ვადების სრული დაცვით.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ყოველდღიურ რეჟიმში აშუქებს მერის და მერიის სტრუქტურული დანაყოფების, ასევე მერიას დაქვემდებარებული ორგანიზაციების აქტივობებს.

უზრუნველყოფს მედიის წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდებას, მერიის ურთიერთობის ორგანიზებას მოქალაქეებთან, საკრებულოსთან, იურიდიულ პირებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო ორგანოებთან და სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, მოქალაქეთა საინფორმაციო მომსახურებას, მერიის თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების და სხვა დოკუმენტების დადგენილი წესის შესაბამისად პროაქტიულად გამოქვეყნებას; მერიის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის ფუნქციონირებას, მუნიციპალიტეტის საინფორმაციო არხების ადმინისტრირებას. თანამშრომლობს და პარტნიორულ ურთიერთობაშია, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ მედია საშუალებებთან.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ დამუშავდა და მომზადდა მერიის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ **2 001** ინფორმაცია, **202** ანონსი და განცხადება, **70** ვიდეოსიუჟეტი, **111** პრესრელიზი, მედიის წარმომადგენელთა კითხვებზე დამუშავებული და მომზადებულია **72** წერილობითი პასუხი.

განყოფილებამ მედიასაშუალებებში გავრცელებული არაზუსტი ინფორმაციების პასუხად მოამზადა 7 განცხადება და 3 ვიდეოსიუჟეტი.

პროგრამის: „ღია მმართველბა პარტნიორობის“ (OGP) ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე ozurgeti.mun.gov.ge შესაბამისი სტანდარტებისა და პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად პროაქტიულად გამოქვეყნდა სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები, სოფლებში განხორციელებული საერთო კრებების ოქმები და სამართლებრივი აქტები, წლიური ანგარიშები და განახლებული ინფორმაციები.

განხორციელდა მერიის საინფორმაციო-საკომუნიკაციოს სისტემის რეგულირება, პერსონალური კომპიუტერების აწყობა-მონტაჟი. დასრულდა დაქვემდებარებულ სტრუქტურებში კომპიუტერული ინვენტარის პროგრამული წმენდა.

2020 წლიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდის გამომწერთა რაოდენობა შეადგენს 10 924 -ს.

განყოფილება აღიჭურვა თანამედროვე სტანდარტების ტექნიკით. ხარისხიანი ვიდეოსიუჟეტების მოსამზადებლად შექმნილ იქნა დრონი და უსადენო მიკროფონი.

პანდემიის პირველი ტალღის დროს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლები დისტანციური რეჟიმის გარეშე განაგრძობდნენ საქმიანობას, მონაწილეობდნენ მერიის მიერ დაგეგმილ საქველმოქმედო აქციებში, სადუბინჟეციო სამუშაოებსა და სისხლის უანგარო დონაციის აქციებში.

2020 წლის ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო მერიის თანამშრომლებმა საკუთარი ხელფასის 10% სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად შეაგროვეს. შეგროვილი 14 000 ლარით შექმნილ იქნა პროდუქტები, რომლებიც მოთხოვნის შესაბამისად, მოსახლეობასადგილზე მიეწოდა.

მერიისა და სამთავრობო ცხელი ხაზის საშუალებით განყოფილების თანამშრომლები პანდემიის პირობებში უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის ინფორმირებას COVID-19-ის პრევენციისა და სხვადასხვა სერვისების შესახებ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატთან თანამშრომლობით განყოფილება წლის განმავლობაში, აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა ონლაინ სემინარებსა და საინფორმაციო-საგანმანათლებლო ვებინარებში, როგორცაა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნები და ევროპული სოლიდარობის დღეები, NDI-ის მიერ ორგანიზებული ერთობლივი ონლაინ საბიუჯეტო განხილვა, ღია მონაცემების განკარგვისა და გამოქვეყნების პრაქტიკის გაუმჯობესება, „მდგრადი ენერჯეტიკისა და კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის მოსამზადებელი უნარ-ჩვევების განვითარება" და ა.შ.

ასევე უზრუნველყოფდა მერისა და სხვა თანამდებობის პირთა სატელევიზიო ჩართვებსა და ონლაინ შეხვედრებში მონაწილეობას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების 2020-2021 წლის სამუშაო სტრატეგია მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსით გათვალისწინებული სტანდარტების დანერგვასა და მერიის საქმიანობის ღიაობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესებას.

მერიის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილება

მერის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების განხორციელებას შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით განყოფილებას უხდება ინფორმაციის მიწოდება მერიაში არსებულ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან.

განყოფილებაში ხდება მერიის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ცალკეული დავალებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, ინფორმაციის მიწოდება თითოეული ადმინისტრაციულ ერთეულის წარმომადგენელთან და პირიქით, ადმინისტრაციული ერთეულიდან მიღებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების განხილვა.

მერის წარმომადგენელთა განყოფილება მონაწილეობს:

- ა) მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა (მერის წარმომადგენელი და თანაშემწეები) შუალედურ შეფასებებში.
- ბ) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის გაცნობისა და საჯარო განხილვების ორგანიზებაში.
- გ) ადმინისტრაციულ ერთეულში მიზნობრივი პროგრამების განხორციელების პროცესში.
- დ) ადმინისტრაციულ ერთეულში ქონების აღრიცხვის პროცესებში.
- ე) მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის, სამხედრო სასწავლო შეკრებების ჩატარების ორგანიზების საკითხებში.
- ვ) ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების მერთან შეხვედრის დაგეგმვასა და ორგანიზებაში;

საანგარიში პერიოდში განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, 2020 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან გასამართი საერთო კრებებისა და კონსულტაციების ორგანიზებაში

(მოვამზადეთ ჩასატარებელი კრების გრაფიკი), კრებებზე შერჩეული პროექტების მიხედვით შეიქმნა პრიორიტეტების დოკუმენტი.

განყოფილება აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ღონისძიებების თუ საქველმოქმედო აქციების ორგანიზებაში, ჩვენი მეშვეობით ხდება ადმინისტრაციული ერთეულების ინფორმირება და ჩართულობა აღნიშნულ ღონისძიებებში (დასუფთავების აქცია, სხვადასხვა საქველმოქმედო აქციები, სისხლის დონაციის აქცია, კულტურული ღონისძიებები).

განყოფილება ჩართულია ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი ხელისუფლების მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზებაში, ხდება სოფლებში მოსახლეობის მიერ დასმული პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი სტრუქტურების ჩართულობა ამ პროცესებში.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის სფეროში დაგეგმილი რეფორმების შესახებ ინფორმაციას ვაწვდით ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მეთოდის (მოიზიდე და მოკალი) შესახებ, მუდმივად მონიტორინგს ვუწევთ ამოცანის შესრულებას. სურსათის სააგენტოს ვაწოდებთ ინფორმაციას სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების გარკვეული კატეგორიების შესახებ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მოთხოვნის საფუძველზე ვადგენთ უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების ოქმს და ვაწვდით საჯარო რეესტრს.

განყოფილების გავლით ხდება ადმინისტრაციული ერთეულებიდან საქმისწარმოების პროგრამაში შემოსული კორესპოდენციების (მოხსენებითი ბარათი, შუამდგომლობა, ცნობა) ვიზირება.

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით წარმოებდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ამბულატორიის ექიმებთან ყოველდღიური მონიტორინგი.

COVID-19 პანდემიის პირობებში განყოფილების ჩართულობით გატარებული ღონისძიებები:

- ა) თერმოსკრინინგი;
- ბ) ადმინისტრაციულ ერთეულებში საგანგებო შტაბის შექმნა;
- გ) საგანგებო სიტუაციის პირობებში მოქალაქეების საშვებით უზრუნველყოფა;

დ) ადმინისტრაციულ ერთეულების მოძრავი ბაზრით უზრუნველყოფა;

ე) განყოფილებაში შეიქმნა დასახმარებელი ბაზა სხვადასხვა კატეგორიისთვის (მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა პენსიონრები, პენსიონერები ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, სოციალურად დაუცველები). განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სასურსათო და ჰიგიენური საშუალებების მოსახლეობისთვის გადაცემაში.

მომავალ 2021 წელს, ადმინისტრაციული სამსახურის მოხელეთა უმთავრესი ამოცანაა პანდემიის წინააღმდეგ მიმართული სამთავრობო მოთხოვნებისა და რეგულაციების უპირობო განხორციელება. ამ მიმართულებით, მერიაში არსებული შტაბებისა და მობილური ჯგუფების სხვა აქტივობების გამართული მუშაობის ორგანიზება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, საჭიროა სისტემაში მოვიყვანოთ უფრო გეგმაზომიერი და ეფექტიანი გავხადოთ სამსახურის მოხელეთა საქმიანობა. უნდა დაიხვეწოს მუშაობის სტილი და მეთოდები, სამუშაო გეგმები ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები პასუხისმგებლობის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ადმინისტრაციულ სამსახურში განხორციელდება ყველა საჭირო ზომა, რათა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურების ახლადშექმნილი განყოფილების მიერ, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური და სახელმწიფო პროგრამები წარმატებით განხორციელდეს.

მიგვაჩნია, რომ საერთო კრიზისის ფონზე ადმინისტრაციული სამსახურის საჯარო მოხელეებმა წარმატებით გაართვეს თავი ბრძოლის წინა ხაზზე დგომას. აღვნიშნავ რამდენიმე მაგალითს: მართალია, პანდემიის გამოცხადების დღიდან მერიაში მოქალაქეთა კოლექტიური ორგანიზებული მიღება შეჩერებულ იქნა, მაგრამ დისტანციურად, რეგულაციების მოთხოვნათა მკაცრი დაცვით იგი მაინც მიმდინარეობს და არცერთი ჩვენი მოქალაქე არ რჩება ყურადღებისა და დახმარების გარეშე.

ჩვენი სამსახურის უშუალო ინიციატივით და ორგანიზებით, ოზურგეთში, ჩამოყვანილ იქნა „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის საუნივერსიტეტო კლინიკის“ (ინგოროყვა) კარდიოლოგთა ჯგუფი (6 კარდიოლოგი), რომლებმაც მუნიციპალიტეტის 350-ზე მეტ ბენეფიციარს 24, 25, 26 სექტემბერს რეგულაციების დაცვით უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარეს.

2021 წელს, რომელიც ამავე დროს, არის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები ერთიანი ძალისხმევით შევძლებთ არსებული ეპიდემიოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის დაძლევას.

უმთავრეს ამოცანად კვლავ რჩება ადგილობრივი თვითმართველობის განხორციელებაში საზოგადოების, ცალკეული მოქალაქეების მონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, მუშაობისა და მეთოდების დახვეწა. ადმინისტრაციული სამსახურის განყოფილებებს, საჯარო მოხელეებს, მთელი სიგრძე-სიგანით გაცნობიერებული და გათავისებული აქვთ არსებული სირთულეები, გამოწვევები და კვლავაც გააგრძელებენ ბრძოლის წინა ხაზზე დგომის პრაქტიკას.

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

გიორგი ინჭირველი